

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში წინამდებარე ცვლილებები და დამატებები გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

სადადგინებლად, პასუხისმგებლობას ისტორიისა და კულტურის ძეგლის დაზიანებასა და განადგურებაზე ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 257-ე მუხლი. აღსანიშნავია, რომ არსებულ მუხლში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზი, დაკავშირებული დაცულ ობიექტთა კორექტულად განსაზღვრასთან, ამასთან, მუხლი აერთიანებს პასუხისმგებლობას ბუნების ძეგლისა და ისტორიისა და კულტურის ძეგლის მიმართ.

ზოგიერთი ცვლილება, დაკავშირებული ტერმინებთან, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი რეგულირებებისა და პასუხისმგებლობების შემოღებასთან, ასევე განპირობებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტით. არსებული რედაქციით ასევე დაურეგულირებელია „შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურული ღირებულების მქონე ქონების დაცვის შესახებ“ ჰააგის 1954 წლის კონვენციით გათვალისწინებული საკითხები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე კანონპროექტის ითვალისწინებს 257-ე მუხლიდან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პასუხისმგებლობის გამიჯვნას, ორი ახალი პრიმა თავის – „დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ“ და „საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში“ დამატებას და მასში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში (არქეოლოგიური ობიექტის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს და კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება-განადგურება, კულტურულ ფასეულობათა უკანონოდ გატანა) ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის დადგენას დანაშაულის ობიექტის მნიშვნელობის შესაბამისად.

კანონპროექტი ასევე უზუნველყოფს „შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურული ღირებულების მქონე ქონების დაცვის შესახებ“ ჰააგის 1954 წლის კონვენციის მე-2 ოქმის მე-15 მუხლის შიდასახელწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ იწვევს ცვლილებებს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი რეგულირების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.